სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

16 დეკემბერი 2025

N 21/12908

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას''

მის: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი,

კახეთის გზატკეცილი, N21

ელ. ფოსტა: dzotsenidze@idrostudi.it

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ - სააგენტო) განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 01/10/2025 წ. განცხადება (სააგენტოში: 01/10/2025 წ. N9623) და დაგეგმილი საქმიანობის **(ნინოწმინდის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში მდ. ფარავანზე დაგეგმილი 4,6 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ფარავანი 2 ჰესის“ და 35კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია)** გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და გაცნობებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

ა) გზშ-ის ანგარიშში (შემდგომ - ანგარიში) არ არის გათვალისწინებული და დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო მოედნ(ებ)ის შესახებ დაზუსტებული ლოკაციები, მათ შორის, GPS კოორდინატები და shp ფაილები („გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის „გ” ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად);

ბ) ანგარიშში, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის დასკვნასთან შედარებით, საპროექტო „ფარავანი 2 ჰესის“ სათავე ნაგებობის ადგილმდებარეობა შეცვლილია დაახლოებით 300-350 მეტრით, მათ შორის, შეიცვალა შეტბორვის, სადაწნეო მილსადენის საპროექტო გზების და ელექტროგადამცემი გაყვანის ადგილები. ასევე შეცვლილია ჰიდროელექტროსადგურის საშუალო წლიური გამომუშავების ოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არ არის შესაბამისობაში N40 სკოპინგის დასკვნასთან (16/06/2025 წ. N 313/ს ბრძანება), წარმოდგენილი უნდა იქნეს კონკრეტული ცვლილების შესაბამისი დაზუსტება და სათანადო ანალიზის საფუძველზე მომზადებული არგუმენტირებული დასაბუთება იმასთან დაკავშირებით, ცვლილება რამდენად მნიშვნელოვანია გარემოზე ზემოქმედების შემცირების თვალსაზრისით (ასევე, ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის, იქთიოფაუნაზე ზემოქმედების კუთხით და კუმულაციურ ჭრილში);

გ) ანგარიშის მომზადებაში მონაწილე პირების ჩამონათვალის ცხრილში არ არის მოცემული ინფორმაცია ჰიდროლოგიური ნაწილის მომზადებაში მონაწილე პირ(ებ)ის შესახებ, რაც უნდა დაზუსტდეს;

დ) ანგარიშში (გვ. 28) მითითებულია, რომ ჰიდროსადგურის შენობამდე წყლის მიწოდება დაგეგმილია „სადაწნეო-სადერივაციო სისტემით“. ამასთან აღსანიშნავია, რომ დერივაცია უდაწნეოა. შესაბამისად აღნიშნული საკითხი დაზუსტებასც საჭიროებს;

ე) ანგარიშის თანახმად (გვ.35), სოფ. ხორენიას ფარგლებში გათვალისწინებულია დამცავი დამბების მოწყობა მდინარის ორივე ნაპირის გასწვრივ, რომლებიც ქმნიან ზღუდეს ფერდობული ჩამონადენის

მდინარის კალაპოტში ჩადენისადმი. თუმცა ანგარიშში არ არის განსაზღვრული ამ ჩამონადენის სიდიდე, არ არის გათვალისწინებული სადრენაჟო არხების მოწყობა და მათი გაბარიტები და კაშხლის ქვედა ბიეფიდან შეუღლების პირობები. აღნიშნული საკითხები უნდა დაზუსტდეს;

ვ) ანგარიშში (გვ.36, გვ.37) ტექსტიდან და ნახაზებიდან გაურკვეველია, რა ტიპის კაშხლების (წყალდამჭერი ნაგებობის) მოწყობაა გათვალისწინებული ბეტონის დასაშლელი, ფარებიანი კაშხლის მარცხენა და მარჯვენა მხარეს, რაც დასაზუსტებელია;

ზ) ანგარიშში (გვ.36) მოცემულ გეგმაზე არ არის ნაჩვენები მდინარის თანამედროვე კალაპოტი;

თ) ანგარიშში (გვ.48) არხის (გალერეის) გრძივ ჭრილზე ნაჩვენებია მხოლოდ ორი საინსპექციო საძრომი (ლუკი). ვინაიდან არსებული ნორმატივების მიხედვით, ინსპექტირების/სარემონტო სამუშაოების უსაფრთხოების მიზნით აღნიშნული საინსპექციო საძრომები ყოველ 200-300 მ-ში უნდა მოეწყოს, საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, დასაზუსტებელია დამცლელი მილების/ხვრეტების მოწყობის საკითხი სადაწნეო მილსადენსა და უდაწნეო გალერეაზე;

ი) ანგარიშის მიხედვით (ცხრილი 4.5.2.1. მშენებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი), ავტობეტონმზიდის რაოდენობა შეადგენს 1-ს. ასევე, ანგარიშში (დანართი N8. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელების გაანგარიშება ჰესის მშენებლობისას) მითითებულია, რომ მშენებლობის პროცესში გამოყენებული იქნება 3 ავტობეტონმზიდი. დაზუსტებას საჭიროებს მშენებლობის პროცესში გამოყენებული ავტობეტონმზიდის რაოდენობა და შესაბამისად, ასევე, ჰაერში ემისიების საკითხი;

კ) ანგარიშში (გვ.93, გვ.94, გვ.106) აღნიშნულია, რომ ბეტონის შემოტანა განხორციელდება რეგიონში მოქმედი ბეტონის ქარხნიდან, მაგრამ არ არის მითითებული მისი ადგილმდებარეობისა და ტრანსპორტირების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;

ლ) ანგარიშში (გვ.100, გვ.101) სათავე ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების ეტაპების სქემაზე საჭიროა ნაჩვენები იყოს მუდმივი და სამშენებლო გზები, დროებითი ნაგებობების (დამბები, კედლები) მოწყობისა და დაშლის გათვალისწინებით;

მ) ანგარიშში (გვ.103) მითითებულია, რომ გამონამუშევარი ფუჭი ქანების განთავსებისთვის გამოყოფილია 4070 $მ^2$ ფართობის ტერიტორია, რაც საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან ანგარიშის თანახმად, აღნიშნულ ფართობზე განთავსდება 125000 მ3 მოცულობის გრუნტი, ნაყარის (შევსების) სიმაღლე იქნება დაახლოებით 2 მ. გარდა ამისა, აუცილებელია წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია დროებითი სანაყაროების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ (ფართობები და სხვ.), სამშენებლო მიზნებით გამოსაყენებელი გრუნტის განთავსებისთვის;

ნ) ანგარიშში (გვ. 258) მოცემულია წყალსამეურნეო გაანგარიშების ცხრილი, რომელშიც არ ფიქსირდება საირიგაციო მიზნებით სათავე ნაგებობიდან წყალგაშვების ხარჯები, რაც დასაზუსტებელია;

ო) ანგარიშის თანახმად (გვ.391), თევზსავალის ჰიდრავლიკური გაანგარიშებებით განსაზღვრული უნდა იყოს ენერგიის გაფანტვის კოეფიციენტი;

პ) ანგარიშში არ არის განსაზღვრული ნაგებობების კაპიტალობის კლასი. სათავე ნაგებობა გაანგარიშებულია 1% უზრუნველყოფის (100-წლიანი განმეორადობის) წყალდიდობის ხარჯის გატარებაზე (ანგარიშები მოცემული არ არის), თუმცა ქართული ნორმატივებით მაქსიმალური (სამოწმებელი) საანგარიშო ხარჯი 0.5% უზრუნველყოფისაა (200-წლიანი განმეორადობის);

ჟ) დოკუმენტაციაში არ არის მოცემული წყლის დონეების და ხარჯების დამოკიდებულების მრუდები სათავე ნაგებობისა და ძალური კვანძის (მახასიათებელ კვეთებში დერივაციის გასწვრივ) გასწორებში. ასევე, არ არის მოცემული მდინარის კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმეების გაანგარიშება და არ არის დატანილი ნახაზებზე, ხოლო ჰესის შენობის ნახაზებზე არ არის ნაჩვენები წყლის მრავალწლიური და მაქსიმალური დონეები;

რ) დაზუსტებას საჭიროებს სათავე ნაგებობის მშენებლობით იქთიოფაუნაზე მიყენებული სავარაუდო ზიანის განსაზღვრის სიდიდე და საკომპენსაციო ღონისძიებები, ასევე თევზის რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოთვლილი იქნეს თითოეული სახეობის თევზის რაოდენობა ერთეულ ფართობზე -

მდინარის სიგრძივ მონაკვეთზე, ან დაანგარიშებული იქნეს თევზჭერის ძალისხმევა (CPUE)), რაც შემდგომში საშუალებას მოგვცემს, გაკეთდეს შედარებითი ანალიზი ჰესის სავარაუდო ზემოქმედების თაობაზე;

ს) სათავე ნაგებობის ზემო ბიეფში (განსაკუთრებით, დამცავი დამბების და/ან კედლების ფარგლებში) მახასიათებელ კვეთებში (ბიჯით 100-300 მ) აგებულ ფერდობებზე საჭიროა დადგინდეს და წარმოდგენილი იყოს დეპრესიის მრუდის თანამედროვე მდგომარეობა და მისი ცვლილების პროგნოზი;

ტ) ანგარიშში საშუალო წლიური ხარჯების შიდაწლიური განაწილების (ცხრილი 5.2.3.5.2-ში) 25% და 75%-იანი უზრუნველყოფის სიდიდეები იდენტურია, რაც საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას. ასევე, აღნიშნულ ცხრილში და ცხრილი 4-ში მოცემული სიდიდეები ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს;

უ) ანგარიშის თანახმად, ფარავანი 1-ის წყალმიმღებთან აუზის ფართობი არის 1248,10 კმ^2, ფარავანი 2-ის წყალმიმღებთან კი - 1281,3 კმ^2. შესაბამისად, საშუალო მრავალწლიური ხარჯი 12,21 მ^3/წმ და 12,59 მ^3/წმ (რაც ლოგიკურია), თუმცა შიდაწლიური განაწილების დროს ცხრილი 5.2.3.5.2-ში ფარავანი 1-ის 90 %-იანი უზრუნველყოფის სიდიდეები მეტია ფარავანი 2-ის შესაბამის მნიშვნელობაზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას. აღნიშნული ასევე ვრცელდება 10%-იანი უზრუნველყოფის (აპრილის თვე) ხარჯზე.;

ფ) ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ცხრილი 5.2.3.9.1-ში ასახული 50%-იანი უზრუნველყოფის მინიმალურ ხარჯსა (7,35 მ^3/წმ) და ცხრილი 5.2.3.5.1-ში მოცემულ საშუალო მინიმალურ ხარჯს (3,60 მ^3/წმ) შორის (რისი საშუალოა ეს 3,60 მ^3/წმ.) განსხვავებული ინფორმაცია. ამასთან, არ არის წარმოდგენილი მყარი ნატანის ანგარიში, რაც ასევე დასაზუსტებელია;

ქ) დაზუსტებას საჭიროებს N40 სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი „დეტალური ინფორმაცია ძალური კვანძის უბანზე წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას დამყარებული დონეებისა და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმის, ასევე საპროექტო ტერიტორიის დაცვის საინჟინრო ღონისძიებების შესახებ“;

ღ) ანგარიშში (გვ. 113) გეოლოგიურ რუკას აკლია მასშტაბი, კოორდინატების ბადე და ინფორმაცია ავტორის და გამოცემის თარიღის შესახებ;

ყ) ანგარიშში არ არის მოცემული თანამედროვე გეოდინამიკური პროცესების რუკები (გვ.120) და წარმოდგენილი რუკები არ შეესაბამება საქართველოში ამჟამად მოქმედ სეისმური საშიშროების რუკას. მათ ასევე აკლიათ მონაცემები ავტორის, გამოცემის თარიღის და სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის შესახებ. აღნიშნული რუკების მონაცემების გამოყენება საპროექტო არეალის სეისმური საშიშროების შეფასებისთვის მოითხოვს მყარ არგუმენტაციას, რაც დასაზუსტებელია;

შ) ანგარიშის დანართ #10-ს (შპს „ჯეოინჟინირინგის“ საინჟინრო-გეოლოგიურ ანგარიშს - „ფარავანი II ჰესის სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა“) აკლია საშიში გეოლოგიური პროცესების თავი და დასკვნის ნაწილი. ამავე დროს, ანგარიშში მოცემული „საშიში გეოლოგიური (გეოდინამიკური) პროცესების“ (5.2.2.9) და „დასკვნების და რეკომენდაციების“ (5.2.2.10) თავები გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას აღნიშნულ თავებში მოცემული რეკომენდაციების საფუძველი;

ჩ) „დასკვნებსა და რეკომენდაციებში“ ზიდვის უნარის შეფასებისას მიღებულ იქნა ე. ბოულზის მიდგომა. ვინაიდან ეს მიდგომა არ არის გათვალისწინებული საქართველოში ამჟამად მოქმედ ნორმატივში, საჭიროა არგუმენტირებული იყოს მისი გამოყენების მიზანშეწონილობა/უპირატესობა;

ც) ანგარიშში (გვ. 244.) აღნიშნულია: „საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, ფარავანი 2 ჰესის ნაგებობათა განლაგების ზოლში, მდ. ფარავნის ხეობაში გეოდინამიკური პირობები რთულია“. აღნიშნული საკითხი ასევე უნდა აისახოს „დასკვნებსა და რეკომენდაციებში“;

ძ) ანგარიშში არ არის ინფორმაცია საპროექტო უბანზე (სატუმბი სადგურის გარდა) სხვა წყალმომხმარებლების არსებობის შესახებ. ამასთან, შპს „საქართველოს მელიორაციის“ ცნობით (დანართი) საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება მათსავე (ბალანსზე) რიცხული (ს/კ63.19.39.033) ალმალოს სატუმბი სადგური რომელიც დაკომპლექტებულია 4 ტუმბო-აგრეგატით და რომლის ჯამური წარმადობა შეადგენს 4320 კუბ.მ/სთ-ში, შესაბამისად საჭიროებს გარკვეული რაოდენობის წყალაღებას, რაც პროექტის განხორციელების შემდეგ გამოიწვევს გარკვეულ პრობლემებს წყალმომხმარებლებთან წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია მზადაა განიხილოს ჰესის

მშენებლობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ ჰესის წყალაღების კვანძი მოეწყობა სატუმბი სადგურის წყალაღების კვანძის ქვემოთ, მდინარის დინების მიმართულებით ან წყლის ჩაშვება განხორციელდება სატუმბი სადგურის წყალაღების კვანძამდე, რათა არ მოხდეს წყლის დებეტის შემცირება აღნიშნული სატუმბი სადგურისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;

წ) სს „საქართველოს რკინიგზის“ ცნობით (დანართი), გზშ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი პროექტის განხორციელების პროცესში რკინიგზის ინფრასტრუქტურაზე მოსალოდნელ შესაძლო ზიანთან დაკავშირებით ინფორმაცია, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა საქმიანობის განმახორციელებელს ეთხოვოს შესაბამისი კვალიფიციური ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა, დასკვნის წარმოდგენამდე სს „საქართველოს რკინიგზა“ მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს თანხმობა პროექტის განხორციელებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სს „საქართველოს რკინიგზასთან“ კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი, დოკუმენტაცია;

ჭ) სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით (დანართი), საპროექტო ტერიტორია კვეთს სასარგებლო წიაღისეულის (დოლერიტი) მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზია N1004275 კონტურს (შპს "ჯავახავტოგზა", ს/ნ N 223352930, ვადა - 27.10.2034 წ.) აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იყოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთან, ასევე ლიცენზიის მფლობელთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;

ხ) სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს ცნობით (დანართი), უნდა აისახოს მონაცემები იმ ფართობების შესახებ, რომლებზეც „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხვნების შესაბამისად განხორციელდება სარეკულტივაციო სამუშაოები. ასევე მონაცემები შეტბორვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობების შესახებ (საკუთრების ფორმა, დანიშნულება, კატეგორია, ფართობის ნიადაგური დახასიათება და გასატარებელი ღონისძიებები).

გთხოვთ, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა. დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე თქვენ ა/წ 01 ოქტომბრის განცხადებასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეჩერებულია და სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE